ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის
ოქმი N01

დაბა ქედა 28 ივნისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 14:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 15:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: გოჩა ჟღენტი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

28.06.2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
6	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
7	გოჩა ჟღენტი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

1. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

კომისიის თავმჯდომარე - მერაბ ნაკაშიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (განცხადების ნომერი 12-95231533-95, განცხადების თარიღი 02.06.2023).ისაუბრა თითოეული საპრივატიზაციო ობიექტის შესახებ და დატალურად გააცნო შემდეგი უძრავი ქონების ნუსხა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონების) ნუსხა

რიგითი N	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენობა-ნაგებობის ფართობი კვ.მ	დაკავებული მიწის ფართობი კვ.მ	მიწის სარეგისტრაციო N	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა (კანტორა)	დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №3	ქედის მუნიციპალიტეტი	154.50	132.00	21.03.33.072	17430.00	

2	ყოფილი თამბაქოს საწყობი	დაბა ქედა, აღმაშენებლის ქუჩა N17	ქედის მუნიციპალიტეტი	403.00	290.00	21.03.35.073	12410.00	
3	სასურსათო მაღაზია (პრიანიკები)	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	115.30	125.00	21.01.37.007.01.500	18594.00	
4	ყოფილი სასადილოს შენობა	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი	72.40	113.00	21.05.33.026	6922.00	
5	ყოფილი რძის ქარხანა	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N36	ქედის მუნიციპალიტეტი	547.40	4163.00	21.03.35.005	106233.00	
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფელი ახო	ქედის მუნიციპალიტეტი		550.00	21.08.34.022	3000.00	
7	ავტომანქანა VAZ 21214 ნივა სახ. ნომრით (BX924BB)	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი				1500.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 4875 ლარი შემცირდეს 20 %-ით და განისაზღვროს 1500 ლარი.
8	ავტომანქანა FORD TRANSIT 2.4D მიკროავტობუსი სახ. ნომრით (HB137BB)	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი				4800.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 6000 ლარი შემცირდეს 20 %-ით და განისაზღვროს 4800 ლარი.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

2. მოისმინეს : ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (განცხადების ნომერი 12-95231494-95, განცხადების თარიღი 29.05.2023). მომხსენებლის განმარტებით წარმოდგენილია ინიცირება ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა ტ. აბუსერიძის ქ.№10-ში მდებარე

შენობა-ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული 269,35 კვ.მ. ფართის (ს/კ21.03.33.016.01/520), რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 31066,08 (ოცდათერთმეტი ათას სამოცდაექვსი) ლარი და რვა თეთრი) ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე" პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოთ (მისი არსებობის ვადით), უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მომზადებულად ჩაითვალოს ა(ა)იპ - „ქედის ისტორიული მუზეუმზე" ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უვადოდ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

3. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (განცხადების ნომერი 12-95231661-95, განცხადების თარიღი 15.06.2023).

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების კერძოდ: სასმელი წყლის სისტემის აღსადგენად შეძენილი 825 მეტრი სიგრძის პოლიეთილენის მილის (PE100, D140, PN16), რომლის საერთო საბალანსო ღირებულება 30575 (ოცდაათიათას ხუთას სამოცდა თხუთმეტი) ლარს შეადგენს, შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის უსასყიდლო საკუთრების უფლებით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღება, ასევე აღნიშნული ქონების შპს „ქედის წყალკანალი"-ზე გადაცემის მიზანია ორგანიზაციამ დროულად მოახდინოს დაზიანებული სასმელი წყლის სისტემის აღსადგენა, დაცვა, უკეთ მოვლა-შენახვა, მომსახურებისა და ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფა.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

4. მოისმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (განცხადების ნომერი 12-95231673-95, განცხადების თარიღი 16.06.2023). გადასაცემ ფართი წარმოადგენს დაბა ქედა, 26 მაისის ქ. №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის I - სართულზე არსებული 86.0 კვ.მ. საოფისე ფართს (ს/კ21.03.35.008.01.506).

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, შპს „ქედის წყალკანალი"-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 15:00 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **მერაბ ნაკაშიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ციური ზაქარაძე**